დამტკიცებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანებით

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
მაგისტრატურის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო
წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს უნივერსიტეტში მაგისტრატურისა და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების წესს, აგრეთვემაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. მაგისტრატურის დანიშნულება და მიზანი
1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური,სასწავლოპროგრამების ერთობლიობა, რომელიც შეიცავს სამეცნიეროკვლევის ელემენტებს.
2. მაგისტრატურა მიზანად ისახავსბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას და ამზადებს პირს მიღებულიკვალიფიკაციით მუშაობისათვის.

თავი II
მაგისტრატურაში სწავლა

მუხლი 3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება
1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს`უმაღლესი განათლების შესახებ~საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 4. მაგისტრატურაში ჩარიცხვის პირობები
1. მაგისტრატურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში.
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას/გამოცდებს.
3.შიდა გამოცდა ტარდება სპეციალობაში. შესაძლებელია გამოცდა ჩატარდეს უცხო ენაშიც.
4. პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომელსაც არა აქვს შესაბამისი კომპეტენცია უცხო ენაზე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესასწავლად (იმ შემთხვევაში, როცა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა არ არის გამოცდა უცხო ენაში), უნივერსიტეტი დამატებით სთავაზობს ენის ინტენსიურ სასწავლო კურსს, უნივერსიტეტში არსებულ ენების ცენტრში.
5. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა წარმოებს წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში კონკურსის წესით.

მუხლი 5. საბუთების მიღება
1. მაგისტრანტობის კანდიდატმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მისთვის სასურველი სამაგისტრო პროგრამა. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი) და მისი ასლი;
ბ. დაბადების მოწმობა და მისი ასლი;

გ.ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი;
დ. რეკომენდაცია;
ე. 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ);
ვ. მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულისათვის);
ზ. პროგრამის შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის დედანი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან (მისი არსებობის შემთხვევაში), ან მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან (www.naec.ge).
2. ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატის განცხადება არ მიიღება.

მუხლი 6. გამოცდაზე დაშვების წინაპირობები
1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც დადგენილ ვადებში სრულად წარმოადგენს წინამდებარე დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ საბუთებს, აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს და იგი დაიშვება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე (გამოცდებზე).
2. მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდაზე (გამოცდებზე) გადის ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილ მიმღები კომისიის წინაშე.

მუხლი 7. მაგისტრატურაში ჩარიცხვა
1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს გამოცდას (გამოცდებს) ჩაირიცხება შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. ასევე, უმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებაშიერთიანიეროვნულიგამოცდების/საერთოსამაგისტროგამოცდებისგავლისგარეშესწავლისუფლებისმქონეაბიტურიენტების/მაგისტრანტობისკანდიდატების/სტუდენტებისმიერდოკუმენტებისწარდგენისადაგანხილვისწესისა და მობილობის შედეგების შესაბამისად.
2. პირი მაგისტრატურაში ჩაირიცხება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
3. მაგისტრატურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და მაგისტრანტს შორის იდება ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.
4. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მაგისტრანტი სარგებლობს `უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებებით, იგი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და სხვა შიდა საუნივერსიტეტო აქტები, შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობები.

მუხლი 8. სემესტრული რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება
1. მაგისტრანტი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი სემესტრული ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ.
2. მაგისტრანტის მიერ სემესტრული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.
3. მაგისტრანტს, რომელიც არ გაივლის სემესტრულ რეგისტრაციას, უჩერდება სტუდენტის სტატუსი და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას.

თავი III
სამაგისტრო პროგრამა

მუხლი 9. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და წარდგენა
1. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება ხდება:
ა. რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ;
ბ. პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად.

2. სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. სამაგისტრო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) ფაკულტეტის დეკანი განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში სამაგისტრო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რის საფუძლებზე გამოიცემა რექტორის ბრძანება.
4. სამაგისტრო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსები.
5. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს:
ა. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი; **(01-03, 22.01.2018)**
ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი;
გ. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
6. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელელი) უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებაზე კონტროლს, აგრეთვე პარტნიორ ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გაფორმებას.
7. სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს:
ა. სამაგისტრო პროგრამის დასახელებას;
ბ. მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს;
გ. ინფორმაციას (CV) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ;
დ. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებას (სამაგისტრო პროგრამის მიზანი და აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენცია და უნარ ჩვევები, დასაქმების სფეროები);
ე. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს;
ვ. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას;
ზ. პროგრამაში ჩართული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსს.
7. სამაგისტრო პროგრამა შეიძლება შემუშავდეს და განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტისა, პროგრამაში დამატებით უნდა მიეთითოს პარტნიორი უნივერსიტეტი და დაერთოს ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების თაობაზე.

მუხლი 10. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა
1. მაგისტრატურაში სწავლა მიმდინარეობს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტს, ხოლო სემესტრში - 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ოპტიმალური ხანგრძლივობა 2 წელს შეადგენს.
3. მაგისტრატურაში სასწავლო წელი აგებულია 2 სემესტრიანი პრინციპით.
4. სამაგისტრო პროგრამა უნდა შედგებოდეს სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისგან და სრულდებოდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებითა და მისი საჯარო დაცვით.
5. სასწავლო კომპონენტების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

თავი IV
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი

მუხლი 11. პრაქტიკული კომპონენტი

1.**პრაქტიკის მიზანია:**

ა) სტუდენტის მიერ უშუალოდ საწარმოს საქმიანობის დაუფლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

ბ) უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაფართოების ხელშეწყობა;

გ) თეორიის პრაქტიკასთან მჭიდროდ შერწყმა, ანუ აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან /პრაქტიკასთან;

დ) იმ პროცესებში ჩართვა, რომლებიც იოლად მისაღწევი არ არის უნივერსიტეტში (თანამედროვე ტექნოლოგიები, სამუშაო გარემო და საქმიანი ურთიერთობები);

ე) სასწავლო პროცესში შეძენილი და ჩამოყალიბებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება და ახალი ცოდნისა და კომპეტენციების ათვისება;

ვ) პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველზე მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება.

2. სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს ინგლისურ ენაზე საქმიანი კომუნიკაციების სწავლებას 6 კრედიტის მოცულობით და პრაქტიკის გავლას 10 კრედიტის მოცულობით იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

3. სპეციალობით მომუშავე მაგისტრანტს უფლება აქვს პრაქტიკა გაიაროს იმ დაწესებულებაში, რომელშიც ის მუშაობს და პრაქტიკით გათვალისწინებული 10 კრედიტი მოპოვებულად ჩაეთვლება იმ შემთხვევაში, თუ ის შეასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

4. პრაქტიკის სამუშაო გეგმა, შუალედური და დასკვნითი პრეზენტაციების შეფასების წესი და კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში.

თავი V
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

მუხლი 12. კვლევითი კომპონენტის მიზანი და ელემენტები

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი. **(01-03, 22.01.2018)**

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი სავალდებულო ელემენტების სახით მოიცავს:

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 კრედიტი. **(01-03, 22.01.2018) (01-41, 23.04.2019)**

3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი შეიძლება ასევე მოიცავდეს თეორიულ კურსს - აკადემიურ წერას და სამეცნიერო კვლევის მეთოდებს კონკრეტულ მიმართულებაში / სპეციალობაში. **(01-03, 22.01.2018)**

4. ცალკეული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი შეიძლება მოიცავდეს სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის მომზადებას. **(01-03, 22.01.2018)**

მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა

1. სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სწავლების მესამე სემესტრის დაწყებიდან. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან.

2. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.

3. სამაგისტრო თემის არჩევის, თემის ხელმძღვანელის დამტკიცების, ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურა გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესის შესაბამისად.

მუხლი 14. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი

1. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი,

გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექტირებაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი უარს აცხადებს ხელმძღვანელობაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ არგუმენტირებული და დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, მაგრამ არა უგვიანეს თემის დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 15. ამოღებულია (01-126, 12.11.2020)

თავი V
სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, წარდგენა და დაცვა

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომი

1. მაგისტრანტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში.
2. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.
3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე, წინამდებარე დებულებით დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით.
4. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

მუხლი 17. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი

1. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი, ნაშრომის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 დღისა, მაგისტრანტის ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას შემფასებლის (რეცენზენტის) დანიშვნის შესახებ. **(01-03, 22.01.2018)**
2. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი (რეცენზენტი) შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სამაგისტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგში გამოქვეყნებული აქვს შრომები ბოლო 5 წლის განმავლობაში. შემფასებელი (რეცენზენტი) არ შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. **(01-36, 23.03.2022)**
3. **ამოღებულია (01-03, 22.01.2018) (01-41, 23.04.2019)**

მუხლი 18. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება (01-03, 22.01.2018)

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.
2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის სულ მცირე 3 წევრისაგან.
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების გარდა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას უნდა დაესწროს მაგისტრანტის ხელმძღვანელი და რეცენზენტი (რეცენზენტი). **(01-36, 23.03.2022)**
5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი.
6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი მაინც.

მუხლი 19. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (01-03, 22.01.2018)

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ, რომლის მსვლელობისას მაგისტრანტი წარმოაჩენს ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგებს.
2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე კომისიის წევრები/გამომცდელები დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში.
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე თითოეული მაგისტრანტი გამოიცდება ინდივიდუალურად. ამასთან, გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

მუხლი 20. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება (01-03, 22.01.2018)
1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას, დაცვის დასრულებისთანავე დახურულ სხდომაზე ახორციელებენ სამაგისტრო ნაშრომის შემფასებლები (რეცენზენტები) და დაცვის კომისიის წევრები/გამომცდელები. შემფასებლები (რეცენზენტები) სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ მაქსიმუმ 40 ქულით ხოლო დაცვის კომისიის წევრები/გამომცდელები - მაქსიმუმ 60 ქულით. საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელთა (რეცენზენტთა) და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრთა/გამომცდელთა რაოდენობაზე). **(01-59, 03.06.2016) (01-03, 22.01.2018) (01-41, 23.04.2019)**
2. დაცვის კომისიის წევრთა / გამომცდელთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 60 ქულის ფარგლებში ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:
- შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალობა - 10 ქულა;
- ნაშრომის სტრუქტურა - 10 ქულა;
- კვლევის მეთოდოლოგია და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა - 10 ქულა;
- კვლევის საბოლოო შედეგები - 10 ქულა;
- ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა - 10 ქულა;
- პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა. **(01-03, 22.01.2018) (01-41, 23.04.2019)**

3. შემფასებელთა (რეცენზენტთა) მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 40 ქულის ფარგლებში ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:
- შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალობა - 10 ქულა;
- ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა - 10 ქულა;
- კვლევის მეთოდოლოგია და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა - 10 ქულა;
- კვლევის საბოლოო შედეგები - 10 ქულა. **(01-41, 23.04.2019)**

მუხლი 21. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება
1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. **(01-03, 22.01.2018)**
2. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ითვლება, თუ შემფასებლების (რეცენზენტების) და დაცვის კომისიის წევრების/გამომცდელების მიერ შეფასდება 51 და მეტი ქულით. **(01-03, 22.01.2018) (01-41, 23.04.2019) (01-36, 23.03.2022)**

მუხლი 22. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დადებითი შეფასების შედეგები
1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დადებითი შეფასებით დაცვის შემთხვევაში კურსდამთავრებული ასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ კვლევით კომპონენტს და სხვა სასწავლო და პრაქტიკის კომპონენტების შესრულების შემთხვევაში, ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. **(01-03, 22.01.2018)**
2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი. დიპლომს დაესმის უნივერსიტეტის ბეჭედი.
2. იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება მაგისტრის აკადემიური ხარისხის ერთობლივად მინიჭება უნივერსიტეტთაშორისი შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების დებულებებს აქვთ უპირატესი ძალა.

მუხლი 23. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის უარყოფითი შეფასების შედეგები

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის უარყოფითად შეფასების (41-50 ქულა) შემთხვევაში, მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ/იმავე სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება. **(01-36, 23.03.2022)**
2. თუ სამაგისტრო ნაშრომი დაცვაზე შეფასდება არაუმეტეს 40 ქულით, მაგისტრანტს უფლება არ აქვს დაამუშავოს იმავე თემატიკაზე სამაგისტრო ნაშრომი. **(01-36, 23.03.2022)**

მუხლი 24. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის ბათილობა
სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვისბათილად გამოცხადების, სამაგისტრო დიპლომის ჩამორთმევისა და მინიჭებული ხარისხის გაუქმების საფუძველია აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა.

თავი VI
მაგისტრატურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

მუხლი 25. შეთანხმებასამაგისტროპროგრამისგანხორციელებაზე
1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უნივერსიტეტებთან ერთობლივად განახორციელოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
2. სამაგისტრო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი მაგისტრატურის შესახებ.
3. უნივერსიტეტთაშორისი სამაგისტრო პროგრამის ფორმებია:
ა. ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
ბ. მაგისტრანტის თანახელმძღვანელობა;
გ. ერთობლივი ხარისხის მინიჭება.

მუხლი 26. განცხადება მაგისტრატურაში ჩარიცხვის შესახებ
პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში მაგისტრატურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წინაპირობებს, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებით ერთობლივი მაგისტრატურის შესახებ.

თავი VII
დაფინანსება

მუხლი 27. დაფინანსების წყაროები
მაგისტრატურის დაფინანსება ხორციელდება სასწავლო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, მიზნობრივი პროგრამების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით.

თავი VIII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 28. გარდამავალი დებულებები
ამ დებულების ამოქმედებამდე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ჩარიცხული მაგისტრანტების მიერ მოპოვებული კრედიტები და შესრულებული სხვა სამუშაოები გადახედვას არ ექვემდებარება.

მუხლი 29. დასკვნითიდებულებები
1.უნივერსიტეტში ფაკულტეტების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბოლონიის კონვენციის მოთხოვნების, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.
2. აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.
3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.